

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №77

2013 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეებს განესაზღვროთ და დაუდგინდეთ სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შემდეგი პირობები:

1. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეები, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, სარგებლობენ სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების თანაბარი უფლებით.
2. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურე იმყოფება სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და მისი სოციალური დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფა მოიცავს:

- ა) თანამდებობრივ სარგოს;
- ბ) სარგოებს სპეციალური წოდებისათვის;
- გ) სასურსათო უზრუნველყოფის კომპენსაციას;
- დ) ფორმის ტანსაცმლისა და სანივთე ქონებით უზრუნველყოფის კომპენსაციას;
- ე) ყოველთვიურ პროცენტულ (წელთა ნამსახურობის) დანამატს, აგრეთვე დანამატებს ჯანმრთელობისათვის მავნე ან სხვა მძიმე პირობებში სამსახურისათვის;
- ვ) დაკისრებული მოვალეობებიდან გამომდინარე ზეგანაკვეთური სამუშაოს, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის, საქმიანობის სპეციფიკის ან სირთულის გათვალისწინებით, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილების შესაბამისად დაწესებულ დანამატს;
- ზ) თანხებს სამსახურებრივი მივლინებისათვის;
- თ) სახელმწიფო ჯილდოების, ხარისხებისა და ორდენებისათვის დაწესებულ, აგრეთვე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის კანონმდებლობით დადგენილ შეღავათებს;
- ი) დახმარებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ჯანმრთელობის დაზიანების, დაინვალიდების ან დაღუპვის შემთხვევაში;
- კ) საქართველოს კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურისათვის გათვალისწინებულ სხვა სახის სოციალურ შეღავათებს.

3. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა (თანამშრომელთა) შემადგენლობა, სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განისაზღვროს ორ კატეგორიად:



ა) თანამშრომლები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში და მინიჭებული აქვთ შესაბამისი სპეციალური წოდებები - მოსამსახურეები, რომლებიც გადიან საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიულ და კადრის სამსახურს;

ბ) სამოქალაქო პირები პირები, რომელთაც არ მიენიჭებათ სპეციალური წოდებები და სამსახურში მიიღებიან დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

4. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში სამოქალაქო პირთა დანიშვნით მიღება (ჩარიცხვის გარეშე) შეიძლება განხორციელდეს განსაზღვრული ვაკანტური თანამდებობისათვის გათვალისწინებული ფულადი კმაყოფის ხარჯზე, ხოლო სხვა სამოქალაქო პერსონალის მიღება - ხელშეკრულებით, შრომის ანაზღაურების ოდენობის ინდივიდუალურად განსაზღვრის პირობით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში დანიშვნით მიღებულ სამოქალაქო პირთა ყოველთვიური ფულადი ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამისი საშტატო ერთეულისთვის (საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურეთა კატეგორიის მიხედვით) დადგენილი ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს, ზღვრული წოდებრივი სარგოს, სასურსათო ულუფის ფულადი კომპენსაციისა და კუთვნილ წელთა ნამსახურობის პროცენტული დანამატის ჯამური ოდენობით.

შენიშვნა: ამ დადგენილების მიზნებისათვის:

ა) „ფულადი სარგო“ გულისხმობს თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოთა ჯამს;

ბ) „ფულადი ანაზღაურება“, „ფულადი კმაყოფა“ გულისხმობს ყველა სახის სარგოს, დანამატსა და კომპენსაციას.

(მე-5 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ სამოქალაქო პირთა ყოველთვიური შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს იმ თანამშრომლის შრომის მინიმალური ანაზღაურების წლიური ოდენობის ერთ მეთორმეტედზე ნაკლები, რომელიც საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურს გადის „რიგითის“ სპეციალური წოდებით.

7. შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და სამაგალითო დისციპლინისათვის, სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება მიეცეთ ფულადი პრემიები ამავე ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს შეიძლება გაეწიოთ ერთჯერადი მატერიალური დახმარება სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრული ოდენობით.

9. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის, შეიძლება მიეცეთ ფულადი ჯილდო, სამსახურის უფროსის ბრძანებით, არა უმეტეს ექვსი თვის ფულადი სარგოების ოდენობით.

10. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს, რომელთაც უშუალო კონტაქტი აქვთ ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებთან, (ქიმიური, რადიაციული პირობები; მომწამლავი, რადიოაქტიური და სხვა მავნე ნივთიერებები) და რომელთა თანამდებობრივ ნუსხას ამტკიცებს სამსახურის უფროსი, ეძლევათ ყოველთვიური დანამატი:

ა) საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურეებს ფულადი სარგოების 50%;

ბ) დანიშვნით მიღებულ სამოქალაქო პირებს შესაბამისი საშტატო ერთეულისათვის (რომლის ხარჯზეცაა მიღებული) გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს 50%;

გ) შრომითი ხელშეკრულებით მიღებულ სამოქალაქო პირებს - ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 50%.



10¹. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და საკონტრაქტო სამსახურში გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ მოსამსახურეებს, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, აგრეთვე იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებშიც დაწესებულია სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდებები, სამხედრო წოდებით, სახელმწიფო სპეციალური წოდებით ან/და სამოქალაქო პირად ნამსახურევი კალენდარული წლების (გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდისა) მიხედვით ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი, ფულადი სარგოს შემდეგი ოდენობით:

- ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;
- ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;
- გ) 5-დან 10 წლამდე – 15%;
- დ) 10 წელი და მეტი – 20%.

„10². სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში დანიშნით მიღებულ სამოქალაქო პირებს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, აგრეთვე იმ სახელმწიფო ორგანოებში, რომლებშიც დაწესებულია სახელმწიფო სპეციალური ან/და სამხედრო წოდებები, სამხედრო წოდებით, სახელმწიფო სპეციალური წოდებით ან/და სამოქალაქო პირად ნამსახურევი კალენდარული წლების (გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის პერიოდისა) მიხედვით, ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული (წელთა ნამსახურობის) დანამატი შესაბამისი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

- ა) 3-დან 5 წლამდე – 5%;
- ბ) 5-დან 10 წლამდე – 10%;
- გ) 10-დან 15 წლამდე – 15%;
- დ) 15 წელი და მეტი – 20%.

(10¹ და 10² პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

11. კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ზოგიერთი კატეგორიის თანამშრომლებს, სამსახურის უფროსის ბრძანებით შეიძლება დაუწესდეთ დანამატი შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე. ყველა სახის დახმარება, კომპენსაცია, დანამატი, ჯილდო, პრემია და პენსია, რომელიც გამოითვლება ფულადი სარგოებიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს უანგარიშდებათ ფულადი სარგოების ერთმაგი ოდენობიდან.

12. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსს ეძლევა ყოველთვიური დანამატი ფულადი სარგოს 100%-ის ოდენობით.

13. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს უნარჩუნდებათ ფულადი სარგოები ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, არა უმეტეს ორი თვისა.

14. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სამსახურიდან ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის გამო ან რეორგანიზაციასა და შტატების შემცირებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წელთა ნამსახურობის საფუძველზე დათხოვნისას, ეძლევათ ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარება ორი თვის ფულადი სარგოს ოდენობით, მისი დათხოვნის დღისათვის დაკავებული თანამდებობის მიხედვით.



15. თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურს გადიან სხვა სახელმწიფო უწყებებში ან სხვა ორგანიზაციებში, თანამდებობრივი სარგო განესაზღვრებათ ამ უწყებებსა და ორგანიზაციებში დადგენილი თანამდებობრივი სარგოს (განაკვეთის) ოდენობით, მაგრამ არანაკლებ ამ დადგენილების დანართი №1-ით განსაზღვრული ოდენობისა. თუ აღნიშნულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დაწესებული თანამდებობრივი სარგო ამ დადგენილების დანართი №1-ით შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ თანამდებობრივ განაკვეთზე ნაკლებია, სხვაობას აანაზღაურებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

16. თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურს გადიან სხვა სახელმწიფო უწყებებში ან სხვა ორგანიზაციებში, წოდებრივი სარგოთი, დათხოვნასთან დაკავშირებული ერთჯერადი (გამოსასვლელი) დახმარებით (მხოლოდ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში დადგენილი თანამდებობრივი სარგოს და წინამდებარე დადგენილებით დადგენილი სხვა ფულადი სარგოების ოდენობის გათვალისწინებით), სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაციითა და ფორმის ტანსაცმლით ან შესაბამისი ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. სხვა დანამატებს განსაზღვრავს და ფინანსურად უზრუნველყოფს ის უწყება ან ორგანიზაცია, რომელშიც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი გადის სამსახურს.

17. საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურეებს, სამსახურის გავლის ერთი დღე ეთვლებათ ნამსახურობის დღე-ნახევრად (ფულადი ანაზღაურების გარეშე).

18. სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით შეიძლება დამატებით დადგინდეს სამსახურის გავლის სხვა განსაკუთრებული პირობები.

19. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე უფასოდ იმგზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით (ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, მეტროპოლიტენი, სარკინიგზო ტრანსპორტი) სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ხარჯზე.

20. საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურეების და მათთან მუდმივად მცხოვრები ოჯახის წევრების (მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) ბინის ქირის, ტელეფონის დადგმისა და სააბონენტო გადასახადის, ბუნებრივი აირის, წყლის და სხვა კომუნალური მომსახურების 50% ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

21. საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურეებს, აგრეთვე სამოქალაქო პირებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდების ან ტრავმის მიღების შემთხვევაში, ეძლევათ ერთჯერადი დახმარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

22. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საკონტრაქტო, საკონტრაქტო-პროფესიული და კადრის მოსამსახურის, აგრეთვე სამოქალაქო პირის დაღუპვის ან მიღებული ტრავმის შედეგად გამოწვეული ავადმყოფობით გარდაცვალების შემთხვევაში, მის ოჯახს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიეცემა ერთჯერადი დახმარება. ნეშტის გადასვენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.

23. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური თანამშრომლებს უზრუნველყოფს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევით სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით. ზარალს, რომელიც მიადგა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სრულად აანაზღაურებს სამსახური.

24. დაზღვეული მოსამსახურის დაღუპვის, გარდაცვალების, დაინვალიდების ან დაჭრის შემთხვევაში გაიცემა სადაზღვევო თანხა, რომლის გაცემის წესსა და ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა.

25. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში



ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების ნუსხა სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით (დანართი №1).

25¹. ამ დადგენილების №1 დანართით გათვალისწინებული არასრული განაკვეთის მიხედვით შრომის ანაზღაურების შემთხვევებს განსაზღვრავს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

(25¹ პუნქტის მოქმედება გაგრძელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

26. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ნუსხა (დანართი №2).

27. დამტკიცდეს თანდართული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა სარგოების ნუსხა სპეციალური წოდებისათვის (დანართი №3).

28. დამტკიცდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმები (დანართი №4).

29. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა სასურსათო ულუფის საკომპენსაციო თანხა განისაზღვროს თვეში 70 ლარით. სასურსათო ულუფის ფულადი კომპენსაციის გაცემა განხორციელდეს მიმდინარე თვის შრომის ანაზღაურებასთან ერთად.

30. საყაზარმე პირობებში კვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებს სასურსათო ულუფის კომპენსაციიდან დაეჭვითებათ თანხა საყაზარმე პირობებში კვებით უზრუნველყოფის დღეების შესაბამისად. კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები განისაზღვრება კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმების გათვალისწინებით.

31. კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები სარგებლობენ ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების უფლებით, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 30 კალენდარული დღით. თანამშრომლებს აქვთ შვებულების ნაწილ-ნაწილ (არა უმეტეს ორისა) გამოყენების უფლება. შვებულებაში გასვლის თანმიმდევრობა შეიძლება განისაზღვროს სამსახურის უფროსის ან მისგან უფლებამოსილ პირთა მიერ დამტკიცებული განრიგით.

32. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლითა და სხვა სანივთე ქონებით უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სახეობებისა და სეზონურობის გათვალისწინებით, განხორციელდეს სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული მოხმარების (სარგებლობის) პერიოდულობის მიხედვით. კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეს, რომელიც, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ მოიხმარს სპეციალური ფორმის ტანსაცმელს, ეძლევა საკომპენსაციო თანხა წელიწადში 500 ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა ყოველკვარტალურად, წლიური საკომპენსაციო თანხის ერთი მეოთხედის ოდენობით. ფორმის ტანსაცმლისა და სანივთე ქონებით უზრუნველყოფის კომპენსაცია არ ეძლევათ მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეებს.

33. წინამდებარე დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №288 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 იანვრის დადგენილება №94 – ვებგვერდი, 21.01.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №401 - ვებგვერდი, 18.06.2014წ.



მუხლი 2

ამ დადგენილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, სახელ მწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა საჭიროების გათვალისწინებით გამოსცეს ბრძანებები:

ა) „მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლითა და სხვა საწივით უზრუნველყოფისა და მოხმარების (სარგებლობის) პერიოდულობის განსაზღვრის შესახებ“;

ბ) „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლების კვებით უზრუნველყოფის შესახებ“;

გ) „ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებში მომუშავე მოსამსახურე თა თანამდებობრივი ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2013 წლის 25 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

ბიძინა ივანიშვილი

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №288 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 ნოემბრის დადგენილება №294 - ვებგვერდი, 15.11.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №401 - ვებგვერდი, 18.06.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის დადგენილება №108 - ვებგვერდი, 12.03.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 21.01.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №65 – ვებგვერდი, 16.02.2016წ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების ნუსხა სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების მიხედვით

	1. სამსახურის ხელმძღვანელობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარ.)
ა)	სამსახურის უფროსი	3 540
ბ)	სამსახურის უფროსის მოადგილე	2 720
გ)	(ამოღებულია - 17.06.2014, №401)	
დ)	სამსახურის უფროსის კონსულტანტი	2 500
ე)	სამსახურის უფროსის თანაშემწე	950
ვ)	მთავარი სპეციალისტი	950
	2. (ამოღებულია - 11.02.16, №65)	
	3. პირადი დაცვის დეპარტამენტი	



ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 400
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 100
გ)	სამმართველოს უფროსი (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	2 000
დ)	სამმართველოს უფროსი	1 900
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	1 900
ვ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 800
ზ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 600
თ)	განყოფილების უფროსი (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	1 800
ი)	განყოფილების უფროსი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 700
კ)	განყოფილების უფროსი	1 400
ლ)	განყოფილების უფროსის მოადგილე (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 600
მ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 350
ნ)	ქვეგანყოფილების უფროსი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 550
ო)	ცვლის უფროსი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 550
პ)	ქვეგანყოფილების უფროსი	1 300
ჟ)	ცვლის უფროსი	1 300
რ)	დაცვის უფროსი ოფიცერი (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	1 600
ს)	დაცვის უფროსი ოფიცერი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 500
ტ)	დაცვის უფროსი ოფიცერი	1 250
უ)	დაცვის ოფიცერი (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	1 400
ფ)	დაცვის ოფიცერი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 300
ქ)	დაცვის ოფიცერი	1 200
ღ)	მძღოლი ოფიცერი (საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და	1 150



	საქართველოს პრეზიდენტის დაცვის)	
ყ)	მძლავრი ოფიცერი (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის)	1 050
შ)	მძლავრი ოფიცერი	1 000
ჩ)	მთავარი სპეციალისტი	800
ც)	დამხმარე მოსამსახურე	500
	4. სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 450
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 250
გ)	სამმართველოს უფროსი	2 100
დ)	სამმართველოს უფროსი (რეგიონალური)	1 600
ე)	განყოფილების უფროსი	1 900
ვ)	განყოფილების უფროსი (რეგიონალური)	1 350
ზ)	ჯგუფის უფროსი	1 750
თ)	ჯგუფის უფროსი (რეგიონალური)	1 200
ი)	წამყვანი სპეციალისტი	1 000
კ)	უფროსი სპეციალისტი	900
ლ)	სპეციალისტი	850
მ)	მოიერიშე სნაიპერი	1 650
ნ)	უფროსი მებრძოლი ოფიცერი	1 650
ო)	მებრძოლი ოფიცერი	1 600
პ)	მებრძოლი ოფიცერი (რეგიონალური)	1 100
ჟ)	უფროსი ოფიცერი	1 500
რ)	უფროსი ოფიცერი (რეგიონალური)	1 170
ს)	პასუხისმგებელი მორიგე	800
	5. ოპერატიული დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 400
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 100



გ)	სამმართველოს უფროსი	1 900
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 600
ე)	განყოფილების უფროსი	1 400
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 350
ზ)	ქვეგანყოფილების უფროსი	1 300
თ)	უფროსი სპეციალისტი	800
ი)	სპეციალისტი	750
კ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1 250
ლ)	ოპერატიული თანამშრომელი	1 200
6. ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი		
ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 400
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 100
გ)	სამმართველოს უფროსი	1 900
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 600
ე)	განყოფილების უფროსი	1 400
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 350
ზ)	მძღოლი ოფიცერი	900
თ)	უფროსი სპეციალისტი	800
ი)	სპეციალისტი	750
კ)	კავშირის უფროსი ოფიცერი	1 150
ლ)	კავშირის ოფიცერი	1 050
მ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1 250
ნ)	ოპერატიული თანამშრომელი	1 200
ო)	დამთვალაიერებელი	1 000
პ)	ვეტერინარი	900
7. გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი)		
ა)	გენერალური ინსპექციის უფროსი	2 400
ბ)	გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე	2 000



გ)	სამმართველოს უფროსი	1 900
დ)	განყოფილების უფროსი	1 400
ე)	განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1 400
ვ)	უფროსი ინსპექტორი	1 300
ზ)	ინსპექტორი	1 200
თ)	წამყვანი სპეციალისტი	1 000
ი)	უფროსი სპეციალისტი	900
კ)	სპეციალისტი	850
8. ეკონომიკური დეპარტამენტი		
ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 300
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 000
გ)	სამმართველოს უფროსი	1 800
დ)	სამმართველოს უფროსი – მთავარი ბუღალტერი	1 800
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 500
ვ)	განყოფილების უფროსი	1 200
ზ)	განყოფილების უფროსი (აეროპორტის სამთავრობო ტერ-მინალის)	1 300
თ)	უფროსი ინსპექტორი	1 000
ი)	ინსპექტორი	900
კ)	მძღოლი	780
ლ)	უფროსი ბუღალტერი	1 100
მ)	ბუღალტერი	1 000
ნ)	ბუღალტერ-მოლარე	1 000
ო)	მთავარი სპეციალისტი	1 100
პ)	წამყვანი სპეციალისტი	1 050
ჟ)	უფროსი სპეციალისტი (ფინანსების)	1 050
რ)	უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების)	1 050
ს)	უფროსი სპეციალისტი	1 000



ტ)	სპეციალისტი	900
უ)	უფროსი ავტონჟინერი	900
ფ)	ავტონჟინერი	800
ქ)	საწვავ-საცხები მასალების გამმართველი	800
ღ)	საწყობის გამგე	700
ყ)	ტექნიკური მოსამსახურე	700
შ)	ადმინისტრატორი	855
ჩ)	მორიგე ოპერატორი	810
ც)	ექსპედიტორი	700
ძ)	ელექტრომექანიკოსი	655
წ)	მთავარი კომენდანტი	1 000
ჭ)	უფროსი კომენდანტი	800
ხ)	კომენდანტი	600
ჯ)	უფროსი მზარეული	500
ჰ)	დამხმარე მოსამსახურე	300
	9. სამსახურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი)	
ა)	ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი	2500
ბ)	ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე	2 100
გ)	სამმართველოს უფროსი	1 900
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 500
ე)	განყოფილების უფროსი	1 400
ვ)	მთავარი იურისტი	1 300
ზ)	უფროსი იურისტი	1 200
თ)	ცვლის უფროსი	1 100
ი)	ჯგუფის უფროსი	1 100
კ)	არქივის უფროსი	1 100
ლ)	მთავარი სპეციალისტი	1 050
მ)	პასუხისმგებელი მორიგე	1 050



ნ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1 050
ო)	უფროსი რეფერენტი	1 050
პ)	ოპერატიული თანამშრომელი	1 000
ჟ)	ოპერატიული მორიგე	1 000
რ)	წამყვანი სპეციალისტი	970
	10. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების დაცვის დეპარტამენტი	
ა)	დეპარტამენტის უფროსი	2 300
ბ)	დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	2 000
გ)	სამმართველოს უფროსი	1 800
დ)	სამმართველოს უფროსი (რეგიონალური)	1 500
ე)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 500
ვ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე (რეგიონალური)	1 300
ზ)	განყოფილების უფროსი	1 200
თ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 150
ი)	განყოფილების უფროსის მოადგილე (რეგიონალური)	1 100
კ)	ჯგუფის უფროსი	1 120
ლ)	ჯგუფის უფროსი (რეგიონალური)	850
ლ1)	ქვეგანყოფილების უფროსი	1120
ლ2)	ქვეგანყოფილების უფროსი (რეგიონული)	850
მ)	ცვლის უფროსი	1 100
ნ)	ცვლის უფროსი (რეგიონალური)	850
ო)	დაცვის უფროსი ოფიცერი	860
პ)	დაცვის ოფიცერი	810
ჟ)	წამყვანი სპეციალისტი	910
რ)	უფროსი სპეციალისტი	860
ს)	სპეციალისტი	810
ტ)	უფროსი ოფიცერი	860
უ)	ოფიცერი	810



ფ)	ოპერატორი	675
ქ)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	575
ღ)	დაცვის თანამშრომელი	750
11. ესკორტირების მთავარი სამმართველო		
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	2 100
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 900
გ)	სამმართველოს უფროსი	1 500
დ)	განყოფილების უფროსი	1 200
ე)	ჯგუფის უფროსი	1 100
ვ)	უფროსი სპეციალისტი	800
ზ)	უფროსი ოფიცერი	1 100
თ)	ოფიცერი	1 000
ი)	ოპერატიული მორიგე	500
კ)	დაცვის თანამშრომელი	750
12. სამედიცინო მთავარი სამმართველო		
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	2 100
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 900
გ)	სამმართველოს უფროსი	1 500
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 300
ე)	განყოფილების უფროსი	1 200
ვ)	რენიმატოლოგი	1 100
ვ ¹)	უფროსი სპეციალისტი	850
ზ)	სპეციალისტი	800
თ)	ქირურგი	850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული)



		განაკვეთი
ი) თერაპევტი		850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული განაკვეთი)
კ) ნევროპათოლოგი		850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული განაკვეთი)
ლ) ოკულისტი		850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული განაკვეთი)
მ) ოტოლარინგოლოგი		850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული განაკვეთი)
ნ) დერმატოლოგი		850 (სრული განაკვეთი)
		650 (არასრული განაკვეთი)
ო) ფსიქიატრი		850 (სრული განაკვეთი)
		650



		(არასრული განაკვეთი)
პ)	ფსიქოლოგი	850
		(სრული განაკვეთი)
ჟ)	მორიგე თერაპევტი	650
		(არასრული განაკვეთი)
რ)	მორიგე ექიმი	700
ს)	მედა	650
		(სრული განაკვეთი)
ტ)	სანიტარიული ინსპექტორი	500
		(არასრული განაკვეთი)
უ)	ეპიდემიოლოგი	1050
		(სრული განაკვეთი)
ფ)	ბაქტერიოლოგი	800
		(არასრული განაკვეთი)
ქ)	ბიოქიმიკოსი	1050
		(სრული განაკვეთი)
		800
		(არასრული განაკვეთი)



დ) ქიმიკოსი	1050 (სრული განაკვეთი)
	800 (არასრული განაკვეთი)
ყ) ინჟინერი	1050 (სრული განაკვეთი)
	800 (არასრული განაკვეთი)
შ) ლაბორანტი	650 (სრული განაკვეთი)
	500 (არასრული განაკვეთი)
ჩ) სანიტარი	350
13. კადრების მთავარი სამმართველო	
ა) მთავარი სამმართველოს უფროსი	2 100
ბ) მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 900
გ) სამმართველოს უფროსი	1 800
დ) სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 500
ე) განყოფილების უფროსი	1 300
ვ) განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი	1 250
ზ) უფროსი ინსპექტორი	1 100
თ) ინსპექტორი	1 000
ი) წამყვანი სპეციალისტი	850
კ) უფროსი სპეციალისტი	800
ლ) სპეციალისტი	750



	14. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარსამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	2 100
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 900
გ)	სამმართველოს უფროსი	1 500
დ)	განყოფილების უფროსი	1 200
ე)	განყოფილების უფროსი (სპეციალური დანიშნულების)	1 350
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 100
ზ)	ქვეგანყოფილების უფროსი	1 050
თ)	აპარატის უფროსი	1 500
ი)	აპარატის უფროსის მოადგილე	1 300
კ)	ჯგუფის უფროსი (სპეციალური დანიშნულების)	1 200
ლ)	ჯგუფის უფროსი	850
მ)	ცვლის უფროსი	850
ნ)	უფროსი იურისტი	800
ო)	დაცვის უფროსი ოფიცერი	860
პ)	დაცვის ოფიცერი	810
ჟ)	მძღოლი ოფიცერი	750
რ)	უფროსი სპეციალისტი	860
ს)	სპეციალისტი	810
ტ)	მებრძოლი ოფიცერი	1 100
უ)	პასუხისმგებელი მორიგე	770
ფ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1 000
ქ)	ოპერატიული თანამშრომელი	900
ღ)	ოპერატიული მორიგე	730
ყ)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	575
შ)	დაცვის თანამშრომელი	750
ჩ)	კომენდანტი	725
ც)	მძღოლი	680



	15. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სამმართველო	
ა)	მთავარი სამმართველოს უფროსი	2 100
ბ)	მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 900
გ)	სამმართველოს უფროსი	1 500
დ)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 300
ე)	განყოფილების უფროსი	1 200
ვ)	განყოფილების უფროსის მოადგილე	1 100
ზ)	აპარატის უფროსი	1 500
თ)	აპარატის უფროსის მოადგილე	1 300
ი)	ქვეგანყოფილების უფროსი	1000
კ)	ჯგუფის უფროსი	850
ლ)	ჯგუფის უფროსი (ოპერატიულ-ტექნიკური)	1 050
მ)	ცვლის უფროსი	850
ნ)	დაცვის უფროსი ოფიცერი	860
ო)	დაცვის ოფიცერი	810
პ)	წამყვანი სპეციალისტი	910
ჟ)	უფროსი სპეციალისტი	860
რ)	სპეციალისტი	810
ს)	უფროსი ოფიცერი	860
ტ)	პასუხისმგებელი მორიგე	770
უ)	კავშირის უფროსი ოფიცერი	750
ფ)	უფროსი ტექნიკოსი	700
ქ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1 000
ღ)	ოპერატიული თანამშრომელი	900
ყ)	რეფერენტი	500
შ)	ოპერატიული მორიგე	730
ჩ)	უფროსი იურისტი	800
ც)	საშვთა ბიუროს ინსპექტორი	575



დ)	დაცვის თანამშრომელი	750
წ)	დამთვალეიერებელი	500
ჭ)	თერაპევტი	500
ხ)	სანიტარიული ინსპექტორი	700
ჯ)	ვეტერინარი	500
კ)	საწყობის გამგე	700
კ ¹)	კომენდანტი	725
კ ²)	მძღოლი ოფიცერი	750
კ ³)	მძღოლი	680
კ ⁴)	ტექნიკური მოსამსახურე	700
კ ⁵)	დამხმარე მოსამსახურე	300
16. სასწავლო ცენტრი (მთავარი სამმართველო)		
ა)	სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველო) უფროსი	2 100
ბ)	სასწავლო ცენტრის (მთავარი სამმართველო) უფროსის მოადგილე	1 900
გ)	სამმართველოს უფროსი	1 800
გ ¹)	სამმართველოს უფროსის მოადგილე	1 500
დ)	განყოფილების უფროსი (საბრძოლო მომზადების)	1 700
ე)	ჯგუფის უფროსი (საბრძოლო მომზადების)	1 600
ვ)	უფროსი ინსტრუქტორი (საბრძოლო მომზადების)	1 500
ზ)	განყოფილების უფროსი	1 300
თ)	ჯგუფის უფროსი	1 250
ი)	უფროსი ინსტრუქტორი	1 200
კ)	ინსტრუქტორი	1 100
ლ)	მთავარი სპეციალისტი	1 050
მ)	უფროსი რეფერენტი	1 050
ნ)	ფსიქოლოგი	1 000
ო)	წამყვანი სპეციალისტი	970



პ) უფროსი სპეციალისტი	900
ჟ) სპეციალისტი	850
რ) კომენდანტი	725

შენიშვნა: თანამშრომელს, რომელიც „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სამსახურს გადის სხვა შესაბამის დაწესებულებაში, თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს 1200 ლარით.

(მე-8 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტის „დ - ზ“ ქვეპუნქტების, მე-12 პუნქტის „ვ¹“ ქვეპუნქტის, „ზ - ჩ“ ქვეპუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

დანართი №2

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ნუსხა

№	სამტატო წოდებრივი კატეგორია (სპეციალური წოდების გათვალისწინებით)	ფულადი სარგოს ოდენობა (ლარობით)
1.	დაცვის თანამშრომელი (სახ/დაცვის უფრ/სერჟანტი)	65
2.	დაცვის თანამშრომელი (სახ/დაცვის სერჟანტი)	60
3.	დაცვის თანამშრომელი (სახ/დაცვის უმცრ/სერჟანტი)	55
4.	დაცვის თანამშრომელი (სახ/დაცვის რიგითი)	50.

შენიშვნა: თუ საკონტრაქტო სამსახურში მყოფი მოსამსახურე დაინიშნება სხვა შესაბამის უმცროს თანამდებობაზე (გარდა დაცვის თანამშრომლისა), თანამდებობრივი სარგო განესაზღვრება დანართი №2-ის თანრიგების მიხედვით, ამ მოსამსახურისათვის მინიჭებული სპეციალური წოდების გათვალისწინებით.

დანართი №3

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კადრის, საკონტრაქტო-პროფესიული და გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეთა სარგოების ნუსხა სპეციალური წოდებისათვის

№	სპეციალური წოდება	სარგოს ოდენობა (ლარობით)
1.	სახელმწიფო დაცვის გენერალ-პოლკოვნიკი	150
2.	სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტი	130
3.	სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი	120
4.	სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკი	90
5.	სახელმწიფო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკი	75



6.	სახელმწიფო დაცვის მაიორი	65
7.	სახელმწიფო დაცვის კაპიტანი	50
8.	სახელმწიფო დაცვის უფროსი ლეიტენანტი	45
9.	სახელმწიფო დაცვის ლეიტენანტი	40
10.	სახელმწიფო დაცვის უმცროსი ლეიტენანტი	30
11.	სახელმწიფო დაცვის ზემდეგი	25
12.	სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტი	20
13.	სახელმწიფო დაცვის სერჟანტი	15
14.	სახელმწიფო დაცვის უმცროსი სერჟანტი	14
15.	სახელმწიფო დაცვის რიგითი	12

შენიშვნა: სპეციალური წოდებისათვის დაწესებული სარგოები არ ეძლევათ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში მოკლევადიანი კონტრაქტის საფუძველზე ჩარიცხულ მოსამსახურეებს.

დანართი №4

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის საორიენტაციო ნორმები

1. მორიგე განწესში და საყაზარმე პირობებში (საქვაბე კმაყოფაზე ყოფნის პირობებში) თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრა:

დასახელება	ბრუტო	სასარგებლო საკვების ბრუტო წონა გადანაყრების შემდეგ (თერმულ დამუშავებამდე)
პური (თეთრი)	700 გ	700 გ
ფუნთუშა (I ხარისხის ფქვილი)	100 გ	100 გ
ხორბლის ფქვილი	10 გ	10 გ
ბრინჯი	62 გ	60 გ
მკარონი	60 გ	60 გ
ბარდა	84 გ	80 გ
წიწიბურა	86 გ	80 გ
მანანის ბურღული	40 გ	40 გ
ვერმიშელი	60 გ	60 გ
შვრიის ფანტელი (ჰერკულესი)	80 გ	80 გ
ხორცი (საქონლის)		
– I კატეგორიის	230 გ	170 გ
– II კატეგორიის	250 გ	



ხორცი (ღორის)		
– I ხარისხის	212 გ	170 გ
– II ხარისხის	267 გ	
ხორცი (ფრინველის)	243 გ	170 გ
სოსისი	122 გ	110 გ
თევზი (გაყინული)		
– უთავო	115 გ	100 გ
– თავიანი	140 გ	
საქონლის ხორცის კონსერვი	170 გ	170 გ
შესქელებული რძე	20 გ	20 გ
არაჟანი	100 გ	100 გ
ხაჭო	60 გ	60 გ
მაწონი	100 გ	100 გ
ყველი	54 გ	50 გ
კვერცხი	3 ცალი	3 ცალი
კარაქი	40 გ	40 გ
ერბო	30 გ	30 გ
მარგარინი	10 გ	10 გ
მაიონეზი	55 გ	55 გ
ზეთი	20 გ	20 გ
ტომატ-პასტა	25 გ	25 გ
ძმარი	3 გ	3 გ
მარილი	20 გ	20 გ
შაქარი	90 გ	90 გ
ჩაი	2 გ	2 გ
კაკაო	4 გ	4 გ
ლობიო	84 გ	80 გ
კარტოფილი	400 გ	320 გ
ხახვი	55 გ	50 გ



კომბოსტო	150 გ	120 გ
ჭარხალი	24 გ	20 გ
სტაფილო	56 გ	45 გ
წიწაკა, საკმაზ-სანელებლები	1 გ	1 გ
მწვანილი	22 გ	20 გ
ბადრიჯანი, ისპანახი, ფხალი (სეზონურად)	125 -150 გ	110 გ
ნიორი	6 გ	5 გ
პამიდორი (სეზონურად)	160 გ	136 გ
კიტრი (სეზონურად)	160 გ	136 გ
მდოგვი	10 გ	10 გ
ტყემალი	50 გ	50 გ
ხილი, ციტრუსი (სეზონური)	200 გ	200 გ
ხილის ჩირი	36 გ	35 გ
ხილის წვენი	200 მ/ლ	200 მ/ლ
კისელის კონცენტრატი	10 გ	10 გ
თაფლი	30 გ	30 გ
საკონდიტრო ნაწარმი	200 გ	200 გ
შოკოლადის ნაწარმი	60	60 გ
ჯემი	37 გ	37 გ.

2. მშრალი კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრა:

№	პროდუქტის დასახელება	დღიური ნორმა
1.	პური მშრალი	300 გ
2.	დაკონსერვებული ლორი	200 გ
3.	საქონლის ან ფრინველის პაშტეტი	100 გ
4.	საქონლის ხორცის კონსერვი	600 გ
5.	შოკოლადი	100 გ
6.	ხილის წვენი	400 გ
7.	ყავა ერთჯერადი	2 გ



8.	ჩაი ერთჯერადი	2 გ
9.	შაქარი (რაფინადი)	25 გ
10.	ბოსტნეულის კონსერვი	150 გ.

3. მშრალი კვებით უზრუნველყოფის დამხმარე ნივთები:

№	პროდუქტის დასახელება	დღიური ნორმა
1.	ერთჯერადი ხელსახოცი	1 შეკვრა
2.	ერთჯერადი ხელსახოცი (სველი)	1 შეკვრა
3.	ერთჯერადი კოფი-ჩანგალი	1 ცალი
4.	პოლიეთილენის ტომარა	1 ცალი

4. სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმები:

ა) სპეციალური დანიშნულების დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე სამსახურის უფროსის მიერ დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული მომზადების სპეციალური კურსის გავლის პერიოდში სპეციალური დანიშნულების დანაყოფებში ჩასარიცხი კანდიდატებისათვის, სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმაა 4700-5000 კკალ (საუზმე: 1200-1300 კკალ, სადილი: 2200-2300 კკალ, ვახშამი: 1300-1400 კკალ);

ბ) სამსახურის სხვა თანამშრომლებისათვის სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმაა 4300-4700 კკალ (საუზმე: 1200-1300 კკალ, სადილი: 1900-2100 კკალ, ვახშამი: 1200-1300 კკალ).

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 8 ნოემბრის დადგენილება №287 – ვებგვერდი, 08.11.2013წ.

შენიშვნა:

1. ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში გათვალისწინებული კვების პროდუქტები შეიძლება შეიცვალოს სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თუ ეს არ გამოიწვევს ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში შემავალი პროდუქტების ერთობლივი ენერგეტიკული ღირებულების დღიური ნორმის შემცირებას. ამავე პუნქტით გათვალისწინებულ „გადანაყარში“ იგულისხმება პროდუქტის ის ნაწილ(ებ)ი, რომელიც უვარგისია საკვებად მოხმარებისათვის.

2. მშრალი კვებით უზრუნველყოფის სასურსათო იჯრაში შემავალი პროდუქტები და დამხმარე ნივთები მოსამსახურეებს ეძლევათ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი კვებით უზრუნველყოფა ვერ ხორციელდება ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული სასურსათო იჯრის შესაბამისად.

3. მოსამსახურეთა მშრალი კვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში:

ა) დღიური ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებზე არ ვრცელდება ამ დანართის მე-4 პუნქტით დადგენილი სასურსათო იჯრის ენერგეტიკული ღირებულების საორიენტაციო დღიური ნორმები;

ბ) კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯები არ იზღუდება ამ დანართის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საორიენტაციო ნორმების შესაბამისად კვებით უზრუნველყოფისათვის დადგენილი ოდენობით.

